სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N56

ქ. თბილისი **02/03/2021**

ერთი მხრივ, **შპს „პრესტიჟი“** (შემდგომში ,,გამყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია პაპალაშვილის სახით და მეორე მხრივ, **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში „მყიდველი”), წარმოდგენილი მისი მერის ალექსანდრე სარიშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება’’) CVP**18530000**- საჩუქრები და ჯილდოები შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი გადასცემს მყიდველს 98 ერთეულ 50 ორმოცდაათი ლარის ნომინალის ღირებულების მქონე „ისიპარის“ სასაჩუქრე ვაუჩერს (შემდგომში -„ბარათი“ ან/და ,,ნასყიდობის საგანი“).

1.2. სასაჩუქრე ბარათების გამოყენების ვადა არის ბარათების მყიდველისთვის მიწოდებიდან 3 (სამი) წელი;

1.3. მყიდველის დასაჩუქრებულს (შემდგომში - „ბარათის მფლობელი“), სასაჩუქრე ბარათის გამოყენება შეუძლია „ისი პარის“ ქსელში და ონლაინ მაღაზიაში პროდუქციის ყიდვისას ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის ღირებულება ნაკლებია სასაჩუქრე ბარათში მითითებულ თანხაზე, თანხა არ უბრუნდება ,,მყიდველს’’ და ,,ბარათის’’ მფლობელზე სხვაობა თანხის სახით არ გაიცემა.

1.4. სასაჩუქრე ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს „ისი პარის“ ქსელში მიმდინარე ყველა ფასდაკლებით;

1.5. ნასყიდობის საგნის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 05 მარტის ჩათვლით.

1.6. ბარათების მიწოდების ადგილი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის 14

1.7. ნასყიდობის საგნის წამოღებას უზრუნველყოფს მყიდველი საკუთარი ხარჯით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 **,,გამყიდველი’’:**

2.1.1 ვალდებულია მყიდველს საკუთრებაში გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი წინამდებარე ხელშეკრულების 1.5. პუნქტში მითითებულ ვადაში.

2.1.2 ვალდებულია ამომწურავად მიაწოდოს „მყიდველს” ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.

2.1.3 ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ნასყიდობის საგანი, რომელიც დააკმაყოფილებს „მყიდველის“ მოთხოვნებსა და შესაბამის სტანდარტებს.

2.1.4 უფლებამოსილია მოითხოვოს მყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

2.2 **,,მყიდველი’’:**

2.2.1 ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის საგნის ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2.2.2 უფლებამოსილია მოსთხოვოს გამყიდველს აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ნასყიდობის საგნის მიწოდების შემდგომ მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3 ნასყიდობის საგნის ღირებულება და ანაზღაურების წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის სრული ღირებულება შეადგენს **4900 (ოთხიათას ცხრაასი) ლარს,** საიდანაც

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ბარათების მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

4 მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ „გამყიდველისთვის“ ცნობილია „მყიდველის“ მაღალი ინტერესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროული შესრულების მიმართ, შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ „მყიდველი“ უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 1.5 პუნქტით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში „გამყიდველს“ დააკისროს პირგასამტეხლო, მიუწოდებელი ნასყიდობის საგნის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2 მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის.

4.3 მხარეთა შორის შეთანხმებული გადახდის ვადების დარღვევისთვის ,,გამყიდველი“ უფლებამოსილია წერილობითი გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, დააკისროს ,,მყიდველს“ ყოველდღიური პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით.

5 ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

5.2 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და სამარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოების გამო ვალდებულების შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორულ გარემოებას როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოების გამო „გამყიდველი“ ვერ შეძლებს ვალდებულების შესრულებას და ეს მდგომარეობა გაგრძელდება 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, „მყიდველი“ უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე.

6. სადავო საკითხების გადაწყვეტა

6.1 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

6.2 ყველა სხვა საკითხი, რომლიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის დარეგულირებული, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. სხვა პირობები

7.1 მყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ალესასნდრე სარიშვილი (პ/ნ: 26001005981)

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, მხარეთათვის.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 05 აპრილის ჩათვლით.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მყიდველი“	„გამყიდველი“
შემსყიდველი:	**შპს „პრესტიჟი“**
ს/კ:233730139	მის.: ქ. თბილისი, პეტრე სარაჯიშვილის 17ა
მისამართი:ლანჩხუთის ჟორდანიას ქ.N 37	საიდენტიფიკაციო ნომერი: 205038252
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE22NB0330100200165022	ა/ა: GE06TB7843036020100002
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი	
	დირექტორი
ალექსანდრე სარიშვილი	_____ / მაია პაპალაშვილი/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2021 წლის 02 მარტი

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაში მონაწილე მიმწოდებელთან.

მუნიციპალიტეტის მერი: *ალექსანდრე სარიშვილი*